

გურამ აბრამიშვილი, ზაზა კლექსიძე

მხედრული დამწერლობის სათავეებთან

ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ეროვნული დამწერლობა. ქართულმა დამწერლობამ შეინახა და გამოხატა ქართველი ხალხის სულიერი სამყარო, ხელი შეუწყო მის განვითარებასა და გამდიდრებას, დაიცვა თაობებს შორის კავშირი, ერთიან ორგანიზმად შეკრა ქვეყანა, სადაც „ლოცვა უოველი ქართულითა ენითა აღესრულებოდან“. ქართული დამწერლობა თვითონ არის ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენა, თვითონ არის ხატი ერის შემოქმედებითი უნარისა. ამიტომაც ალბათ ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემა ქართველოლოგიის ერთი უპირველესი საზრუნავი; ამიტომაც ალბათ, რომ ამ პრობლემატიკით დაინტერესება ჩვენს საზოგადოებასა და მეცნიერებაში განსაკუთრებული ძალით იფეთქებს ხოლმე პერიოდულად. ბოლო რამდენიმე წელიწადი კვლავ ამ ნიშნით არის აღბეჭდილი.

ის შრიფტი, რომლის საშუალებითაც მკითხველი დღეს ამ წერილს ეცნობა, ქართული მხედრული დამწერლობის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა ახლანდელი წერის სტილი პირვანდელი მხედრულისაგან დიდად განსხვავდება.

მხედრულის გარდა ქართული მწიგნობრობის ისტორიამ დამწერლობის კიდევ ორი სახეობა იცის: მრგლოვანი ასომთავრული (ან მთავრული) და კუთხოვანი ნუსხური (ან ნუსხა-ხუცური).

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ისტორიული მეცნიერების სპეციალურ დარგს, რომელსაც პალეოგრაფია უწოდებენ, გაცილებით უკეთ აქვს შესწავლილი ქართული დამწერლობის ის ორი ტიპი, რომლებიც დღეს პრაქტიკულად

ალარ არსებობენ, ვიდრე ის, რომელსაც თვითული ჩვენგანი უოველდღიურად იყენებს.

ქართული პალეოგრაფიის უმთავრესი პრობლემებია: ქართული დამწერლობის გენეზისი, მისი სტრუქტურა, დამწერლობის სახეობათა ურთიერთმიმართება და მათი ქრონოლოგია.

ბოლო ორი პრობლემის შესახებ ქართველოლოგიაში გაბატონებული თელსაზრისი ჩამოყალიბებული აქვს აკად. ა. შანიძეს ნაშრომში „ძველი ქართული ენა“. რადგანაც მართლაც რომ უკეთ ვერ იტყვი, შესაბამის ციტატებს უცვლელად მოვიტანთ:

„მრგლოვანი. ძველი ქართული მწერლობის ნიშნები, რომლებითაც დაწერილია ეტრატზე ან ამოკვეთილია ქვაზე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები (ხელნაწერები, წარწერები) მე-9 — მე-8 საუკუნეებში, დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ანბანის ასოებია... საერთო შესახედაობის გამო უძველესი ძეგლების დაწერილობას მრგვლოვანი ანუ მრგლოვანი დაერქვა“.

„კუთხოვანი. მრგლოვანისაგან მე-9 საუკუნეში განვითარდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჭკუფები შემუშავდა... ამ ასოებს შესახედაობა კურხივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ვეძახით. ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური) — ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლოვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებშიც. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10 — მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხოვანი ასოებით არის დაწერილი. პირ-

ველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს მშპ წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლომდე მრგლოვანთ არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნაწილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შეარულებული“.

„მხედრული. კუთხოვანი წერისაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოჰყვა ოთხ ჭკუფად დაყოფას ხაფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხოვანი ნაწილები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიას დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისათვის იყენებდნენ ახალს. რომელსაც მხედრული დაერქვა. პირველ ხანებში მხედრულის ასოები ჭერ კიდევ რამდენადმე ბგვანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ასე რომ მე-18 საუკუნეში მხედრული წერა საბოლოოდ დასცილდა მას...“

მხედრულის განვითარებისა და განმტკიცების შედეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დაერქვა ზუშუპრი, რადგანაც მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საკირიებისათვის, ხოლო ცალკე მრგლოვანს ასომთავრულს სახელით აღნიშნავდნენ“.

„პარალელური მხარეებ. მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-8 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადავარდნილა მე-11 ს-ში. როცა მისგან განვითარდა წერის ახალი სახე — მხედრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდეგაც იხმარებოდა. მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნებს წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვანთ ან მისგან წარმომდგარი კუთხოვრით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული). ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად“ (ა. შ ან ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976, გვ. 9-11).

მრგლოვანიდან IX ს-ში განვითარდა ნუსხური, ნუსხურიდან XI საუკუნეში წარმოიშვა მხედრული — ამ სქემის ავტორია ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი. მაინც ვცინდა მკითხველმა გაიხსენოს, თუ რას წერდა თვითონ ივ. ჯავახიშვილი ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ სქემისთან დაკავშირებით:

„შეიძლება ითქვას, რომ უკვე IX საუკ. ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით ჩამონაკეთილი და დამთავრებული დამწერლობა და მისი დანაწილების ხანის ძველები ჭერ არ გვაქვს და IX ს-ზე უწინარეს ხანაში უნდა ვივლით სხმით.“

რაც IX ს-ში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებული — ჩამონაკეთილი დამწე-

რლობა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა და თანდათან ჩამონაკეთის პროცესი IX საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვივლით სხმით. ის ღრმა უცლილება, რომელიც ასომთავრული ასოების მოხაზულობას გამოუვლიათ. ხანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაუქიბებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკეთის პროცესი ხანგრძლივი უნდა უოფალიყო... მეორე მხრით, რაც ნუსხა ხუცურ-დამწერლობაში ბ. ვ. და უთავგახსნილი მოხაზულობისანი არიან, ამიტომ ამ დამწერლობის საბოლოო ჩამონაკეთვა არ შეიძლება VII-VIII სს-ზე უწინარეს დროს მთავკუთვნოთ“.

„მრგლოვანი ნუსხა-ხუცური (ასე უწოდებს ადრეულ მხედრულს ივ. ჯავახიშვილი — გ. ა., ზ. ა.) პირველად. მართალია XI საუკ. ხელნაწერებში გვხვდება, მაგრამ ეს ამ დამწერლობის უკვე ჩამონაკეთილი გამოხატულებაა, მისი წარმოშობის ხანა კი, რასაკვირვლია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი. ამ შემთხვევაშიაც წარმოშობის პროცესი, უძვეველია, კერძო პირთა კუთხოვან ნუსხა-ხუცურის გავრულებში ან ავტოვად დაწერილ ნუსხებში უნდა ვეძიოთ, და სწორედ ასეთი ხასიათის ძველებში მოგვეძიებთ მომავალში კუთხოვანი ნუსხა-ხუცურის მრგლოვანად გარდაქმნის ყველა ხაფუხურ“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ. 184-190).

რატომ შეიცვალა ივ. ჯავახიშვილის თვალზრისი ნუსხური დამწერლობის IX ს-ზე უფრო ადრე ჩასახვიდან IX ს-ში ჩასახვით, ხოლო მხედრულის — XI ს-ზე ადრე წარმოშობიდან XI ს-ში წარმოშობით? იმიტომ, რომ ქართველოლოგიის ინტენსიური განვითარების რამოდენიმე ათეულმა წელიწადმა ვერ გამოაჩინა თავისი ატრიატის ვარაუდის გასამართლებლად რამე საბუთი. უძველესი ასომთავრულის ნიმუშები V ს-ს ვერ გაცდილებია, უძველეს თარიღიან ნუსხურ ძეგლად ბოლო ხანებამდე მშპ წლის სინური მრავალთავის ანდერძი რჩებოდა, ხოლო მხედრულისა ბაგრატი IV-ის 1057 წლის სიგელი. უველაფერში იგრძნობოდა, რომ ქრონოლოგიის შეცვლის იმედი გადაიწურა. ეს არის მთავარი სიმბლეტი, რომელიც გადაუღმავ დაპრკოლებად იღობება წინ ყველაზე უფრო ოპტიმისტურ თეორიულ კონსტრუქციებსაც კი ქართული დამწერლობის სახეობების გენეზისისა და ქრონოლოგიის შესახებ.

ქართული მხედრული დამწერლობის წარმოშობის თარიღის ხაყთბი მკიდროდ უკავშირდება, შესაძლოა ქვეცნობიერად, კიდევ ერთ ურთულეს პრობლემას — ქართული საერო მწერლობის წარმოშობის ხანის განსაზღვრას. თანამედროვე ქართველოლოგია საერო მწერლობის წარმოშობასაც XI ს-ის გასულით ათა-

ჩადებს (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1966, გვ. 18; იკრეთვე გვ. 5-25). მაშასადამე, ხაერო მწერლობა და მისი ფიქციის საშუალება — მხედრული (ხაერო) დამწერლობა ერთი ასახვანა არაინ? ბუნებრივია, რომ ასე თუბს. ისიც ბუნებრივია, რომ ერთის დათარიღებამ მეორის დათარიღებაზე იმოქმედოს.

„მეფეთა ბრძანებანი, სახმართლოს დადგენილებანი და ხაერო სახითის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოემები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად“. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული დოკუმენტი (დოდანის) არის ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი, შეხრულებული ნუსხურით. მაგრამ ეს ხომ არ არის ხაერთოდ ჩვენამდე მოღწეული უძირველესი დოკუმენტი!

ე. წ. ფანელითა სიგელი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ XV (თუ XIII?) საუკუნეში გადაწერილი პირით, სამი ერთმანეთთან შექანისკურად შერთებული ფენისაგან შედგება. უძველეს ნაწილს სტეფანოსტები IX ს-ის მიწურულით ათარიღებენ, მის მომდევნოს კა, მასში მოხსენიებული პირების მიხედვით (კონსტანტინე III აფხაზთა მეფე, კახეთის ქორეპისკოპოსები ფადლა I და კვირიკე I), 888-918 წლებით (ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ. 1965, გვ. 3-5, 589-590). რომელი დამწერლობით იყო შედგენილი ეს დოკუმენტები თავის დროზე? ვითომ ხუცურით? ყოველ შემთხვევაში მათი პირი მხედრულით არის შეხრულებული და ერთი მათგანი მაინც ხუცურით რომ ყოფილიყო დაწერილი, ისინი ერთმანეთში აღარ აირეოდნენ და ერთ დოკუმენტად ვერ იქცეოდნენ.

ხაერო სახითის დოკუმენტების შედგენა XI ს-ში რომ არ დაუწყებიათ, უძველად მოწმობს გიორგი III-ის მიერ მოწმობისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი:

„მოვიდეს ჩუენ წინაზე წმიდანი მამანი უდაბნოსა დიდისა მღუიშისანი, მამაი იონე მეგლიში და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისა და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი; და გუემაქნეს და მოგუაქენეს, რათამცა, ვითა მათ სიგელითა მათითა გაუჩენია და გაუგია პირველად თუით წმიდისა მის უდაბნოსა მღუიშისათვის. და მერმე უკელნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოვლისა მანყენარისა მათისა და დამპირებლისა და ჩუენთა კელისუფალთა შეხავლობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუახლებით ძუელნი სიგელნი სიგელითა ჩუენითა და დავამტყცით ბრძანებანი და სიგელი პაპათა და მამათა ჩუენთანი“.

ქვემოთ მეფის მწიგნობარი დანგა ბრუტაისძე ჩამოთვლის კიდევ იმ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც წიგნ სიგელი:

„ხოფელი სხალტანი და მათი კერძო გორფინი — წმიდისა ევაგარესგან მოსუილული; აგარს — ქოქიკისგან მთავრისა მოსუილული; რუეთი — ნახუიდი და შემოწირული; შიოს-უბანი ყოველი — მოსუილული თუით მონაწონთა მეუღაბნოვთაგან; ჩიქუნურნი — რუხისა ნახუიდი, მისგან აშენებულნი და შემოწირულნი; სორვაი — მამისი ჩემისა ნაბოძარი სამღუმლოდ, გოგრაქისაგან შემოწირული; ივან-წმიდაი — ძუელადევი გოდერძისა შემოწირული; დლოთი — კვირიკე ქახთა მეფისაგან შემოწირული; ალაქინი — სახუილაგისაგან შემოწირული; თრიალეთს ბეთი — ადრნეხეგან ნახუიდი და შემოწირული; მანგლის კეხს ბორცუის-ქუარი ძუელადემი მღუიშისა, ლიპარიტოვან წადებული; აწახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისგან შემოწირული; მოსუილული, ფერქადის და ფიკეს — წურილმანად ვლინები; ცხირეთს ცხევერი და გავაზელნი — წმიდისა შიოსის ოქროითა და ვეცხლითა მონახუიდი ფანელითა და ტბელთაგან; კობალი, რაიკ რატი სურამელისაგან შემოწირული...“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 20-21).

წერილობითი მამულთაგან უმრავლესობა XI ს-დღა ნახუიდი ან შეწირული და მათზე შედგენილი ყოფილა სათანადო დოკუმენტები. ამათგან უძველესი, ევაგარე მღვთმლის ნახუილობის წაგნი, VI საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს. ქართულმა აგოგრაფიამ ამ ფაქტის საკონტროლო ცნობებიც შემოკვანახა.

შიოს და ევაგარეს ცხოვრებაში ვითხულობთ, რომ ბერების სახაულებითა და „უპოვარი ცხოვრებით“ მოხიბულმა ფარსმან ჭეფემ „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დაწერა სიგელითა თჯითთა თავისუფლებათა მათთა...“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ. 1955, გვ. 111.).

„ცხოვრება შიოხი და ევაგარესი“ უფრო ადრე თუ არა, XI ს-ში მაინც არის დაწერილი და მის ავტორს სიუჟეტთა ერთიანადეც რომ შეეთხზა, მეფეთა მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის სამეფო მიწების შეუვალად მინიჭების წესსა და ამისათვის სათანადო სიგლის გოგორების აუცილებლობას ვერ გამოიგონებდა. ცხადია, XI ს-ში და მასზე ადრე უკვე არ-

ბურამ აბრამიშვილი, ზაზა აღმახიძე
ბეიდრული დამწერლობის სათავითბთან

სებობდა „საერო ხასიათის დოკუმენტების“ შედგენის პრაქტიკა. ჩვენ ზემოთ იხილ ვნახეთ, რომ შიოს და ევაგრეს სახელთან დაკავშირებული მსგავსი დოკუმენტები XII ს-ში ხაქართველში ჩერ კიდევ იყო შენახული.

შიოს მერვე სასწაული მოკვითხრობს, რომ სტეფანოს ერისმთავარს (VI ს-ის ბოლო) და შიომღვიმის მონასტრის მამასახლისს შორის კონფლიქტი მოხდა. განრისხებულმა ერისმთავარმა „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: არა მავსცე შეურაცხის-შყოფელთა მამული ჩემი და წარვიღა და უთქმიდა მრავალსა შინებით“. შედეგი სავალალო აღმოჩნდა „ხორციელი უფლისათვის“. ორჯერ გამოეცხადა ძილში შიომღვიმელი სტეფანოს და მონასტრისათვის წართმეული ორი აგარაკის დაბრუნება მოხსოვა. მესამედაც მოუხდა წმიდანს ძილში ჩვენებოდა გაქრებულ ერისმთავარს და ახლა უკვე დამატებით კიდევ ორი სხვა აგარაკიც მოუთხოვა. შემერთალმა სტეფანოსმა სცადა ორი წართმეული აგარაკის დაბრუნებით გახუდოდა იოლას, მაგრამ შიომღვიმე დაუთმო, გამოეცხადა ცხადში და უბრძანა: „შიო, ხაწყალბოლო და ბრმა გულითა სტეფანოსი ახა მსგავსად გულისა შენისა ექმნე ბრმა თუალითაჲ შენ და ცოლი შენი და შვილინი შენი და ცოფ, ვიდრემდის განვსწავლავ შენ უფალმან საქმედ უჭობებისა“. როდესაც უჭობა აღებრულა, ერისმთავარსა და მის ოჯახს არაფერმა უშველა, ხანამ მონასტრის მამასახლისმა არ შეახვა მათ შიოს საფლავის მტკერი.

მაშინ „მოწოდდა უკუე სტეფანოს მწიგნობარსა თუხსა და უბრძანა მახრათა და წერნენ ორნი დებანი დებათაგან ხაიუფოთა ურჩეულებსი.. და დაამტკიცა უკუე კელით წერილი იგი კელითა თუხსთა, და მხვეე თმისა და წერა მროარტაკი და დაამტკიცა კელითა თუხსთა და წარსცა ყოველსა შინა ქართლისა, რათა ყოველნი იკლესიანი განათავისუფლენ მძლავრებისაგან და ხარკის მიქდისა“ (იქვე, გვ. 208-206).

აღმათ ხაკმარისა მავალითები. შეხაძლოა გულუბრყვალს შთაბედილებასაც ვტოვებთ მკითხველზე, როდესაც ვუბტაცებთ, რომ XI საუკუნეში საქართველოში იყვნენ მეფეები, ბქონდათ თავისი კანცელარია, ჰყავდათ მღვიან-მწიგნობრები, წერდნენ სიკლებს, ხელს ურთავდნენ მათ და ა. შ.

თუ ყველაფერი ეს ისედაც აშკარა, ხუნებრივი ჩანს ვარაუდი, რომ ხაკანცელარია დოკუმენტები მხედრული დაწერილობით იწერებოდა XI ს-ზე ბევრად ადრეც. მართლაც, ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. სივხურიანმა მგნ წიგნს შედგენილ ხელნაწერში (ხნ. 84) გამოავლინა რამდენიმე პალიმ-

ფსესტური ფურცელი. რომლის ქვედა ტუქსტი მხედრულით არის შესრულებული იგი ჩერჩერობით ამოკითხული არ არის, მაგრამ ლ. სივხურიანი, ჩანს, ხწორად ვარაუდობს, რომ შემდგენელმა ხელნაწერის ნაკლული ფურცლების შესავსებლად გამოიყენა სიკლესიო დოკუმენტები. ეს აღმოჩენა უნდა ჩაითვალოს სეროლულ, ხამწუხაროდ, ჩერ კიდევ არაოფიციალურ გაფრთხილებად ქართულა დაწერილობის ისტორიის შემსწავლელთათვის, რომ „არ არის დადასტურებული“ ჩერ კიდევ არა ნიშნავს „არ არსებობს“.

მაშასადამე, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ქართული გრამატიკის წინაშე რომ დგას, არის მიზანდასახული ძიება მასალისა მწიგნობრებში თუ მწიგნობრების, ველზე თუ წიგნთხაყვებში. რომ ძენდა უიქედო არ უნდა იყოს, დადასტურა ატენის ხიონის ინტერეიტში, ხამკვეთლოს წინა ნიშნში ამოკვეთილი მგნ წიგნის ნუსხური წარწერის აღმოჩენამ (იხ. გ. აბრამიშვილი, „მეცნიერ“, ისტორიის... სერია № 1, 1976, გვ. 170-176). ნუსხური დაწერილობის უქვედრის ნიშნში ამიერიდან აღარ არის მგნ წიგნის ხიონური მრავალთავის მინაწერი. ეს აღმოჩენა იყო პირველი სიგნალი იმისა, რომ ატენის ხიონის წარწერებისაგან ამ თვალსაზრისითაც ხურბრისა ზეგს უნდა ვფლოდდეთ.



გორიდან 10 კილომეტრის დაშორებით, მდ. ტანას ხეობაში ხელოწერად შემადგენულ ნუბსტრუქციანზე დგას მკითხველისათვის აღმათ კარგად ცნობილი ატენის ხიონი. ტაძრის კედლები თითქმის მთლიანად არის დაფარული წარწერებით ქართულ, ხომხურ, ბერძნულ, არაბულ, ხირიულ და ა. შ. ენებზე. ქართული წარწერების რაოდენობა თქვენდ დიდია, რომ მათი რიცხვი ჩერჩერობით „ურაცხებელი“ სიტყვით შეიძლება განთავსდეს. აქ გვხვდება ყველა ტიპის დაწერილობის ნიშნები — ახომთავრული, ნუსხური, მხედრული — შესხრულებული სხვადასხვა ხერხით: კვეთით, ხალებავით, კაწვრით. მათი მნიშვნელობა განუზომელია როგორც თვითონ ძველთა და მხარის იხტორიისათვის, თე ხერხოდ ქართული ლოლოგისათვის.

ბოლო ხანებში ატენის ხიონის ინტერეიტის კედლებზე საქართველოს ხელოწერის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბერძნულიდან არხებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის მკსპედიციისაგან გამოავლინეს ადრეული ხანის მხედრულით შესრულებული წარწერების ჭკუფი, რომელთა უმრავლესობაც ხალებავით არის დაწერილი ბათქაშზე. წარწერები დაფარული ყოფილა და ნაწილობრივ აღადგინდა

დაფარულია ატენის ხიონის ცნობილი ფრესკებით. ახე რომ მათი შესრულების საერთო ქრონოლოგიის გარკვევა ბათქაშისა და მხატვრობის შესრულების ხანის დადგენათ უნდა დაეწყო.

როგორც ირკვევა, ატენის ხიონში თავდაპირველად შემაჯავებელი ყოფილა მხოლოდ ტაძრის ქვედა ნაწილი — სარკმელთა თაღებთან იატაკამდე. დღეს ამ დონეზე სხვადასხვა ადგილას მოჩანს ძველი მოხატულობის კვალი: სარკმლებისა და კარების თაღთა შიგნით ნახევარ წრეზე წითელი ხაღვანით დატანილია სხივისებურად გაშლილი ნახატ; გუბაშა-ქვეშა პილონებზე გამოხატულია ე. წ. „აუვაებული“ ანუ „განედლებული“ ქვრები.

ტაძრის ზედა ნაწილში — ოთხივე აფხიდის კონქში ტროშებისა და გუმბათის ნახევარხედიანობა თავდაპირველი მოხატულობა უშუალოდ ქვათილებზეა შესრულებული, ბათქაშის გარეშე. ორივე რეგისტრის მხატვრობა: ხტილისტურად ერთიანი და ერთდროულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველდელი მოხატულობა (და, რა თქმა უნდა, მასთან ერთად ბათქაშის) ტაძრის აგების ხინქრონულია.¹ ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, მაგრამ ერთ კორექტივს მაინც საჭიროებს: თუ ძეგლს VII ს-ის 80-იან წლებში აგებულად მივიჩნევთ, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, მოხატულობის დასათარიღებლად პარალელს ვერ მოვძებნით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ხანის კედლის მხატვრობა საქართველოში სხვა არა გვაქვს. თუ ატენის ხიონის აგების თარიღს, ახლად გამოთქმული მოსაზრების მიხედვით,² VII ს-ის მიწურულით განვსაზღვრავთ, VIII ს-ისათვის უკვე შესაძლებლობა მოგვეცემა მსგავსი ფრესკული დეკორის ზედარებისა. ახე თუ იხე, ქერქრობით ხიფრთხილსათვის უკეთესი იქნება ბათქაშისა შესრულების ქვედა ხაზღვარი უძველესი თარიღიანი ფრესკული წარწერის (788 წ) მიხედვით VIII ს-ის დასაწყისით განვსაზღვროთ.

რაც შეეხება ჩვენთვის ამჟამად ხინტირებს მხედრული წარწერების შესრულების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აგი უნდა დადგინდეს ატენის ხიონის იმ ფრესკების დათარიღების შესაბამისად, რომლებიც ფარავნ მთ. სამეც-

ნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი თვალსაზრისით: შ. ამირანაშვილი ატენის ხიონის ფრესკებს 904-906 წლებით ათარიღებდა,³ ხოლო რ. შერლინგი — 1072-1080 წლებით.⁴ პირველი შეზღუდულობა საბოლოოდ უნდა იქნას უარყოფილი იმ წარწერების გაშიფრვის შემდეგ, რომლებიც შესახებაც ქვემოთ იქნება ხატუბარი. მეორე თვალსაზრისი დღეს ხამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზარებულია და ამხსავლად იქნება მიღებული ამ წერილშიც.

ერთგვარი ორიენტირი ატენის ხიონის უბაროდ წარწერების ქრონოლოგიური ჩარჩოს წარმოსადგენად შეიძლება მოგვეყვას თარიღიანი წარწერების რამდენიმე: 789 წ., 887 წ., 841 წ., 858 წ., 875 წ., 885 წ., 890 წ., 906 წ., 902-906 წწ. არც ერთი ჩერქრობით ცნობილი თარიღიანი წარწერა XI ს-ში არ ვაღმოვინებ. ამიტომ დიდა აღბათობა იმისა, რომ ატენის ხიონის მხედრული წარწერების მთელი ჯგუფი VIII-X სს-ში უნდა მოთავსდეს. განვიხილოთ ყველა წარწერა ცალ-ცალკე.

I. დასაველეთის აფხიდის ჩრდილო კალთაზე, ბემის კუთხეში, იატაკიდან დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე ფრესკული მოხატულობის ქვეშ იკითხება მხედრული წარწერის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ შვიდი სტრიქონია გადარჩენილი.

3 Ш. Я. Амيرانашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тб. 1957, стр. 95—98.

4 რ. შერლინგი, ატენის ხიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VIII, № 4, 1947, გვ. 261-267.


5 თ. ვირსალაძე, ატენის ხიონის მოხატულობა: ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სერიის თეზისები, თბ., 1958, გვ. 8-9. არ აღმოჩნდა სწორი ატენის ხიონის მოხატულობის 1080 წლით დათარიღების ცდა (თ. ბარნაველი, ატენის ხიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 6-7), როგორც ეს შემდგომმა კვლევამ ცხადყო (გ. აბრამიშვილი, შენიშვნები ატენის ხიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIX, № 5, 1963, გვ. 685-690); მისივე, ატენის ხიონის საქტიტრო. წარწერა: „ძეგლის მეგობარი“, № 19, 1969, გვ. 30-37.

6 წერილის ერთ-ერთი თანავეტორი (ნ. ალექსიძე) შესაძლებლად მიიჩნევს ატენის ხიონის მხატვრობის დათარიღებას 1014-1027 წლებით.

გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალმხინძე
გამდრული დამწერლობის სათავიბიბათა

¹ Т. В. Вирсаладзе, Первоначальная роспись Атенского Сиона (к вопросу о характере древнейших грузинских росписей). Седьмая всесоюзная конференция Византинистов в Тбилиси. Тезисы докладов, Тб., 1965, стр. 66—68.

² გ. აბრამიშვილი, სტუდენტის მამფალის ფრესკული წარწერა ატენის ხიონში, თბ. 1977, გვ. 7-70.



1. მოუსხიო
2. აღიდე ლ(მერთ)ი(მა)ნ ძ[ლი]ერ[ი]
3. აფხაზთა მეფე
4. ბაგრატი. მე მონა-

5. სა მათსა ღამიწ(ე)რია
6. [ხელი]თ(ა) [სახელი] მათი, უ(ფალი)ო
7. ლ(მერთ)ო, ა(მენ)

წარწერაში მოხსენიებულ „ბაგრატ აფხაზთა მეფესთან“ ილენტიფიკაციის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ბაგრატ III-სა და ბაგრატ IV-ს. უფრო აღინიშნულ ბაგრატებს ან შიდა ქართლთან და ატენთან არა ჰქონიათ არავითარი კავშირი, ან აფხაზეთთან. ამნაირად წარწერის შესრულების თარიღი ზოგადად შეიძლება 978-1072 წლებით განისაზღვროს, თუ შუაში გამოვტოვებთ გიორგი I-ის მეფობის წლებს (1014-1027).

თარიღის საზღვრების უფრო დასაწიროვებლად ერთმანეთს შევუდარებთ ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის ტიტულატურას წარწერებსა და დოკუმენტებში მოხსენიების რიგის მიხედვით.

ბაგრატ III: 995 წ. „აფხაზთა მეფე (ტბეთის სახარების მინაწერი), [994-1001] „აფხაზთა მეფე“ (ბრეთის ჰერის წარწერა), 996 წ. „მეფე აფხაზთა“ (მარტილის წარწერა), 999 წ. „აფხაზთა მეფე“ (ხედიის ოქროს ბარძიმი), 1002 წ. „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“ (ხცისის წარწერა), 1002 წ. „აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“ (ათონი. № 53-ის მინაწერი), [1001-1008] „კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (ბაგრატის ტაძრის წარწერა), [1001-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (ბაგრატის ტაძრის წარწერა), [1010-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“ (ნიკორწმინდის წარწერა), [1010-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოზსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთსა დიდი კურაპალატი“ (ცაიხის წარწერა).

ბაგრატ IV: 1082 წ. „მეფე“ (ამბარლოს წარწერა), 1057 წ. „აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიონის“ (შიომღვიმისხათვის მიცემული შეწირულების სიგლის დამტკიცება), [1059-1085] „მეფეთა მეფე, სევასტოპოლი“ (ატენის სიონის წარწერა), [1059-1085] „მეფეთა მეფე, სევასტოპოლი“ (ატენის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა), [1059-1085] „მეფეთა მეფე, სევასტოპოლი“ (ბარმაქიხის ხილში გამოყენებული ქვის წარწერა), [1060] წ. „აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოპოლი“ (ყულალისის წარწერა), [1027-1072] „მეფეთა მეფე“ (კუმურდოს წარწერა), [1082-1072] „კურაპალატი“ (ფოკას წარწერა).

როგორც მკითხველი ადვილად დაინახავდა, მთელი მოტანილი დოკუმენტაციიდან მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით მოხსენიება მართლოდენ ბაგრატ III და ეს ბუნებრივია. 1001 წლამდე იგი აფხაზეთის მეფე იყო და არც ქართველთა კურაპალატის პატივი მიეღო ჯერ და არც ქართველთა მეფის ტახტი დაეკავებინა. ბაგრატ IV კი მემკვიდრეობით იყო მეფეთა მეფე და მემკვიდრეობითვე ფლობდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საშე-

ფო გვირგვინს. ეს გარემოება სერიოზული არგუმენტია ატენის სიონის მხედრულა წარწერის ბაგრატ აფხაზთა მეფის განსაზღვრებლად ბაგრატ III-სთან, მაგრამ არა ვადამწვევებთ ვინაიდან წარწერა არ არის ოფიციალური და მისი დამწერი არ იყო ვალდებული მეფე მთელი თავისი ტიტულატურით მოეხსენებინა (შეღრ. გომარეთის წარწერაში გიორგი I-ის მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტიტულით დასახელება). განსაკუთრებულს ვერაფერს გვეუბნება ეპიტეტი „ძლიერიც“, რადგან იგი ორივე მეფის წარწერებში გვხვდება (ბაგრატ III — ბაგრატის ტაძრისა და ხცისის წარწერები; ბაგრატ IV — ატენის სიონის წარწერა, შიომღვიმისხათვის მიცემული შეწირულების სიგლის მინაწერი).

ამრიგად, გამოჩნდა შესაძლებლობა წარწერის ქრონოლოგიური საზღვრების კიდევ უფრო დაეწროვებისა — 078-1001, ბაგრატ მეფის აფხაზეთში მეფობის წლები. მაგრამ რა საქმე ექნებოდა აფხაზთა მეფის ატენის სიონთან? მავშართოთ ახლა წარწერის შინაარსს.

წარწერა რომ პილიგრიმული არ არის, ეს აშკარაა. ამის ნიშანია სიტყვა „მოუსხით“, რომლითაც იწყება წარწერის გადარჩენილი ნაწილი. ტერმინ „მოსხმის“ შინაარსის დასადგენად ძველ ქართულ ტექსტების მრავალი მოწმობიდან მხოლოდ რამდენიმეს, ყველაზე დამახასიათებელს მოვიტანთ (გსარგებლობთ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის კარტოთეკით).

„მ ა რ მ ა რ ი ლ ე ბ ი, რომელ იყო შეზავლისა, წმიდისა ემბაზისა, ქელთა კადნიერთა წარიღო და მით მოახსნა აზნაო თვისი“ — ვკითხულობთ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში (S — 884, 812).

„სარკინოსის უღმრთონი შემოვიდეს წმიდა ქალაქად, ქისტეს ღმრთისა ჩუენისად, იერუსალემად... და მუნთქუესკე სრბით მიიწინეს ადგილსა მას, რომელსა ჰქან კაპიტოლიონ, და შეიპურნეს კაცნი, რომელნიმე იძულებითა და რომელნიმე ნეფსით განწმენდად ადგილისა მის და აშენებად წუეული იგი, რომელ არს სალოცველად, რომელი-იგი წოდებულ არს მათ მიერ მიძვითა. და იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დაკონი წმიდისა ნოწამისა თევდორისი, რამეთუ იყო იგი ხუროთბძობ მარმარილო მასა მომხსნელ, და შეხცოთა მათგან შესაძინელისათვ ბოროტისა და წარვიდა ნებსით თუხით საქმედ მუნ. და იყო მარტუე ფრიად ქელითა“ (იოანე მოსხი. ლიმონარი, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1960, გვ. 100).

ბურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე
გამდრული დამწერლობის სათავეებთან

„მრქუა ხუროთა მათ. მომხსმერლთა მარმარილო ხათა“ — ბარბარას წამება (H—341, 149; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 270).

მოტანელი ციტატები ეკვს არა ტოვებენ. რომ „მომხსმა“ ძველ ქართულ ტექსტებში ნაშნავს ქვის ან მარმარილოს ფილებით შენობის კედლების მოპირკეთებას, ხოლო „მომხსმელი“ ამ ხელის მცოდნე ოსტატს აღნიშნავს (ბეთლემის ქართულ წარწერაში მოხსენიებულია მოზაიკის მომხსმელი ოსია. იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ. 11-12). მაშასადამე ატენის ხიონის წარწერაშიც ლაპარაკია ტაძრის კედლების მოპირკეთებაზე, რომელიც ბაგრატ აფხაზთა მეფის დროს თუ მისი ბრძანებით მოქმდარა. მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ატენის ხიონი მთელი სამი საუკუნით აღწეა აშენებული, ედრე ბაგრატ მესამე ან მეოთხე მეფობდნენა რადგან ახეა, მაშ ხაქმე გვქონია ტაძრის ინტერიერის რესტავრაციისთან და შეუძლებელია რესტავრატორებს თავიხი კვალი არ დაეტოვებინათ ხაღმე.

ატენის ხიონის ინტერიერის მოსაპირკეთებელი ქვის ფილებზე, იქ სადაც ბათქაში ჩამოყენილია, დიდი ხანია ოსტატთა ნიშნებს ნახულობენ. ამ ნიშნებს ჩვეულებრივ ძველის პირველი მშენებლობის დროისად მიიჩნევდნენ ხოლმე. ხშირ შემთხვევაში ასეც არის. როდესაც ოსტატთა ნიშნები გეომეტრიული ფიგურებით არის გადმოცემული, მათი დათარიღება ძნელია. უფრო უადვილდება: მკვლევარს თარიღზე მსჯელობა, როდესაც ნიშნის ფუნქციას გრაფემები ასრულებენ.

ტაძრის ოთხივე აფსიდისა და კამერის კედლებზე სხვადასხვა ადგილას ვნახულობთ ხომხურ ბ, ბ, ზ, მ, (ან ს) და ვ გრაფემებს (ყველაზე უფრო უშირად გვხვდება მ, რომელსაც ჩვენ პირობითად ვთვლით ხომხურად, რადგან იგი შეიძლება იყოს აგრეთვე ქართული ლ ან გეომეტრიული ფიგურა). ინტერიერის კედლებზე ამოკვეთილი სომხური გრაფემებიდან აშკარად მრგოლვანი ასომთავრულით არის შესრულებული მხოლოდ ბ, ბ, მ და ვ შესაძლოა იყოს როგორც მთავრული, ისე ნუსხური, მაგრამ ყველა რომ კუთხოვანია, ეს აშკარაა. ერთადერთია ზ გრაფემბა, რომელიც ნამდვილად ნუსხური დამწერლობით არის შესრულებული, ან პალეოგრაფიული დახასიათების ზაფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: ატენის ხიონის ინტერიერის კედლებზე ხომხ ოსტატთა ნიშნები ამოკვეთილია მაშინ, როდესაც მრგოლვანი მთავრულით გვერდით არსებობს კუთხოვანი მთავრული და ნუსხური დამწერლობა. ქვედა ხეზდვარი ახეთი პერიოდისათვის

X ხ. უნდა იყოს, ხოლო შედათარიღი მხატვრობის ფენა განსაზღვრავს — არა უგვიანეს XI ს-ის II ნახევრისა.

ატენის ხიონის ხაზხრეთი აფსიდის აღმოსავლეთ კალთაზე შემოგვენახა იმ ოსტატთა ხაზხრებიც, რომლებიც როგორც ჩანს ტაძრის პერანგის შეკეთებაზე მუშაობდნენ: აბრონ და გიორგ. ეს ანთროპომორფი მრგოლვანი და კუთხოვანი მთავრულით არის ამოკვეთილი. ამასთან „გიორგ“ ხომხურისათვის ანთი ფონეტიკური ფორმით არის მოცემული, რომლის ანალოგიურების ხომხურ ეპიგრაფიკაში მხოლოდ X საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება.

ამგვარად, ჩვენ უკვე უზუსტად ვიცით, რომ ატენის ხიონის ინტერიერის პერანგი შეკეთებულია (მოსხმულია) ბაგრატ მეფის დროს და რომ მომხსმელები უოფილან სომეხი ოსტატები (ან იქნებ უფრო ხწორი იყოს — მომხსმელთა შორის უოფილან სომეხი ოსტატებიც). ამ ორი ფაქტის ცოდნა შეხაძლებლობას მოგვცემა ჩვენი წარწერის თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ.

უკვე თ. ბარნაველს მქონდა დაფიქსირებული, რომ ატენის ხიონის დახვედრითი აფსიდის ცენტრალურ წახნაგზე ამოკვეთილია ხომხური წარწერა, მაგრამ რა იკითხებოდა მასში, მისთვის მაშინ ცნობილი არ იყო (თ. ბარნაველი, ატენის ხიონის წარწერები, გვ. 61). წარწერა ხაყმაოდ რთული აღმოჩნდა განაშიფრად, მაგრამ სიმნიერით ბოლოს და ბოლოს გადალახული იქნა და ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ატენის ხიონის ისტორიისათვის უდიდესი ღირებულების ტექსტი, რომლის ქართული თარგმანი ასეთია:

1. ეს მე, გერგიუმ
2. ერძახანის ძე [ვარ], ვინც
3. ამას კითხულობს, დ(მრთ)ის
4. მქანდაკებელი მოხსენიეთ.
5. ბაგრატ აფხაზთა მეფე როდესაც
6. ქართველთა დედოფალს შეედავა
7. და სატახტო (?) უფლის-
8. ციხე დაეკავა?...

გერგიუმ ერძახანის ძის წარწერა ფაქტიურად თარიღიანია, რადგან მასში მოხსენიებული ისტორიული სიტუაცია და პირების მიხედვით ადვილად და ხაყმაოდ უზუსტად თარიღდება (ქვემოთ მოთხრობილსათვის იხ. მართანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება; I, ვამოსცა ს. ყაუხჩიშვილი, თბ. 1955,

7 ატენის ხიონის სომხური წარწერები შესწავლილია წიგნში — ზ. ალექსიძე, ატენის ხიონის სომხური წარწერები, რომელსაც აღბათ მალე მიიღებს მკითხველი

გვ. 274-277; ი. გ. ქ ა გ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ ი რ თ ვ ე-
ლი ერის ისტორია, II, თბ. 1965, გვ. 124-125).

876 წელს დაიდო ქართლის სამი განმეგებელი
ქავე: მცირეწლოვანი ბაგრატო და მისი
მშობლები — გურგენ მეფე და დედოფალი
გუარანდუხტი. 878 წელს ბაგრატო აფხაზეთში
(დას. საქართველო) გამოეფა, ქართლის ფაქ-
ტიურ განმეგებლად დედოფალი გუარანდუხტი
დაჩრა, რეზიდენციით უფლისციხეში.

აფხაზეთის სამეფოს საქმეთა მოწესრიგე-
ბას ბაგრატო ტახტზე ასვლიდან ორი წლის
შემდეგ შეუდგა — 880 წელს. იმბატოანე ქართ-
ლისას — მიხედვით, მან კვეყნის განაგება იწყო
ახე, როგორც მისი პაპა გიორგი განაგებდა
და კვეყით თავის აღმწრდელს დავით კურა-
პალატს დამეგებავა. მისი ერთ-ერთი მთავარი
ღონისძიება იყო ყოფილი მეფის თეოდორე
უხინათლოს ტაშში გაგზავნა და აფხაზეთში
ზურგის გამოგდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ
საქმიანობაში კიდევ ორი წელი მაინც გაი-
ვლიდა (882 წ.).

აფხაზეთის საქმეებში რომ მოაწესრიგა, ბა-
გრატო აღმოსავლეთ საქართველოში გადმო-
ვიდა, „რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქარ-
თლისანი“. ქართლის აწნაურებს, რომლებიც
ფორმალურად ემორჩილებოდნენ გუარან-
დუხტს, არ ექაზნებოდათ ძლიერი ხელისუფლის
გამორჩენა და ქვეთარ ტბელის მეთაურობით
„მიეგებნენ ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზე-
და მოღრისნი“. ბაგრატ აფხაზეთი მიუფიქ და-
ამარცხა აწნაურები, „აღიღო“ დედისაგან
უფლისციხე, დაპყო „იღენი“ ქართლში,
„მტირედ განაგნა საქმენი ქართლისანი“, და-
ბრუნდა ქუთაისს და თან წაიყვანა გუარან-
დუხტი დედოფალი. აქ მას საბოლოოდ მოუ-
წესრიგებია „ყოველი საქმე აფხაზეთისა“.

„ამას შინა გარდაქდეს წელიწადნი რაოდენ-
ნიმე“ — განაგრძობს შემტანიან და გულისხ-
მობს 880 წლის შემდეგ მომხდარ ამბებს (ბა-
გრატის მიერ აფხაზეთში ზურგის მოშვება, უ-
ფლისციხის დაკავება, აფხაზეთის ხაქმეების
საბოლოოდ მოწესრიგება), რადგან უკანასკნელ
თარიღად მას ეს წელი მქონდა დასახელებუ-
ლი (ისტორიკოსი ყველა მნიშვნელოვან მოვ-
ლენას ასე ფარდობითოდ, ერთმანეთზე მიყოლე-
ბით ათარიღებს: „ერთარ გარდაქდა ამას შინა
წელიწადი რაოდენი“, ამას შინა გარდაქდეს წე-
ლიწადნი რაოდენნიმე“, „ქუალად ერთარ გარ-
დაქდეს ამას შინა ქამნი რაოდენნიმე“ და
ა. შ.).

რაოდენაც ვაგიდა „წელიწადი რაოდენნიმე“,
ბაგრატ აფხაზეთი მეფემ ილაშქრა რატო კლდე-
კარის ერისთავის დასამორჩილებლად, რასაც
შედეგად დავით კურაპალატთან შეგახება მო-
ხვევა. ამ ბოლო ფაქტის თარიღი კი XI ს-ის
სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის მიხედვით
888 წელია. მაშასადამე, „წელიწადნი რაოდენ-

ნიმე“ გულისხმობს ზუსტად რვა წელს 880-
888 წლებს არის ბაგრატ აფხაზეთი მეფის მიერ
უფლისციხის დაკავების ზედა და ქვედა საზღ-
ვარი. უფლისციხის დაკავებას წინ უძღოდა
და უკან ხდებოდა ბაგრატის საქმიანობა საკუთ-
რივე აფხაზეთში, რომელიც ამავე რეაქციან
ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. თუ აფხა-
ზეთის მეფეს თავისი შინა საქმეების მოაწეს-
რიგებლად (მეტოქე მეფის თავიდან მოცილე-
ბა, ყველა ურჩის შეცვლა „ერთგულითა და
მისანდობელით“) ორ-ორი წლის ვადას მაინც
მივცემთ, მაშინ უფლისციხის დაკა-
ვება 882-888 წლებს უფრო ახლოს უნდა
მოგვხდარ ფაქტად უნდა მივთვნი-
ოთ.

ატენის სიონის სამხრეთი ფახადის აღმოსავ-
ლეთ ნიშაში ამოკვეთილია სომხური მრგოლ-
ვანი ასომთავრულით საწმენებლო წარწერა:
„მე, თოდოსაჲ, [ამ] წმიდა ეკლესიის მამულებე-
ლი“. ამ წარწერაზე დაყრდნობით ხუთ ბოლო
ხანებაზე უარსებულ ტექსტობადა ითვლება-
და, რომ ატენის სიონი VII ს-ის პირველ ნა-
ხევარში ააგო სომეხმა ზურთომოდვარმა
თოდოსაჲმ მცხეთის ქვრის ბრმა მიბაძვით.
შემდეგში ამ ლეხულებამ სომეხი სპეციალისტ-
ების ერთი ნაწილის შრომებში სახე იცვალა:
ქვარიც იმავე თოდოსაჲს - შენგებულად გამო-
ცხადდა და ჩაითვალა, რომ მცხეთის ქვრის
აგების შემდეგ, არქიტექტორმა თოდოსაჲმ
ატენში გაიმგორა თავისივე ქმნილების გვგმა
თოდოსაჲის სახელი ამოკვეთილია, აგრეთვე,
ჩრდილოეთის ფახადის რელიეფზე, რომელ-
ზეც ბიზანტიური სამსონისა და ლომის ორთა-
ბრძოლის გვერდით გამოხატულია სასწაულით
მოვლენილი ირმის წველა დავით გარეჯელის
მოწაფის ლუკიანეს მიერ.

დავით გარეჯელის ცხოვრების ამხაველი
ციკლის შეხწავლამ ცხადი გახადა, რომ IX
ს-ის მიწურულისათვის დავითი კედლის მხატვ-
რობაში (უღანზოს მონასტერი) ქერ კიდევ
როგორც რეალური პირივლება გამოხატება,
ხოლო X ს-ის მიწურულიდან მოყოლებული
გვიან შუახაუკუნეებამდე იგი უკვე სასწაულით
ბითაა გარემოსილი, როგორც ქეშმარიტ წმი-
დანს შემეგნის. ატენის სიონის რელიეფზე
ლუკიანე დავით გარეჯელის მიერ სასწაულით
მოვლენილი ირმის წველის. ბუნებრივად გაჩნ-
და ვარაუდი, რომ რელიეფი X ს-ზე ადრინ-
დელი ხანის ვერ დათარიღდება, თუ ასეა, მაშ-
ინ ტაძრის ფახადზე ეს რელიეფი გვიან მოხ-
ვდრიდა, რის მაგალითიც არაერთი იცის ფე-
ოდალური ხანის ზურთომოდვრებაში.

მაგრამ რა ვუყოთ რელიეფზე ამოკვეთილ
ავტოგრაფს „თოდოსა“, რომელიც უძველესად

ბურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე
მხედრული დამწერლობის სკოლაში

გულისხმობს, რომ რელიეფის ავტორი და ხაზშენებლო წარწერაში მოხსენიებული არქიტექტორი ერთი და იგივე პირია?

სომხური ხაზშენებლო წარწერის დეტალურმა შესწავლამ გარკვევა, რომ სომხურ გრაფემებს ჩაუკვეთია და დაუნიანებია ქართული ანთაგრაფული მცირე ზომის პლიგრაფული გრაფიტები, რომლებიც პალეოგრაფიულად IX-X სს-ით თარიღდება. იგივე თარიღი მოგვცა სომხური წარწერების თავზე ამოკვეთილმა ქართულმა ანთაგრაფულმა ტრანსლიტირაციამ, რომელიც სომხური გრაფემების კედელზე გახანაწილებლად ამოკვეთია ოსტატ კლიგრაფი. ქართული ტრანსლიტირაციისა და სომხური წარწერის ლინგვისტურმა ანალიზმა დადასტურა, რომ საქმე გვაქვს საშუალო სომხურის ენობრივ სიტუაციასთან, რომლის დასაწყისი X ს-ით განისაზღვრება.

ატენის ხიონის ხელშეკრულებული რელიეფები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. ერთი ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის (VII ს.) სინკრონულია (იხმები წყაროსთან, ნადირობის ხეცენა და სხვ.), ხოლო მეორე იმავე X ს-ის მიწურულის სტილისტური ნიშნებით ხასიათდება, რითაც თოდოსაჟის ხელმოწერილი რელიეფი დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ხასწავლით. უვგლა ამ, მეორე ჯგუფის რელიეფზე ამოკვეთილია სომხური წარწერა ან ცალკეული გრაფემები, რომლებიც პალეოგრაფიულად ახვეი X ს-ზე ადრინდელიები არ უნდა იყვნენ.

როგორც ვხედავთ, მეორე ჯგუფის რელიეფებისა და მათთან დაკავშირებული წარწერების ხემანტიკურ, გრაფიკულ და ენობრივ ანალიზს დაუბინებთ მივყავართ X ს-ეუკუნის აკენ.

ახლა კვლავ გავიხსენოთ გერგიუმ ერმანის ძის წარწერა, რომელმაც გვაცნობა, რომ 982-986 წლებში ატენის ხიონის რელიეფებით შემკობაში მონაწილეობდა სომეხი მოქანდაკე. მისი ავტორტრეტი უნდა იყოს წარწერის პერპენდულარულად დახვედრის ფასადის შერეობის ხარკმლის კარნიზზე, მარჯვენა მარჯვლის ორნამენტში გამოქანდაკებული მიწათტურული პორტრეტი მამაკაცისა ხელში ჯვრით. არ უნდა გავაკვივროს იმ გარემოებას, რომ რელიეფზე გამოხატული მამაკაცი ხსულიერო წარის წარმომადგენელი ჩანს, რადგან დღემდე შესწავლილ სომეხ მოქანდაკეთა 180 წარწერის მიხედვით მათი უმეტესობა

მღვდელი, მოძღვარი და ეპისკოპოსიც კია. ზემოთ ჩვენ „ლიმონარიდან“ რომ ტექსტი დავიმოწმეთ, მასში პირდაპირ არის ნათქვამი: „იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დოკლონი წმიდისა მოწამისა თევდორისი, რამეთუ იყო იგი ხურთებთ მარმაროლთსა მომხსნელ... და იყო მარტუტრიად ქვლითა“.

ამრიგად, ჩვენს ხელთა 982-986 წლებში ხომეხის მოქანდაკის მიერ შესრულებული ხელშეკრულებული პორტრეტი მის ქვეშ მოთავსებული წარწერით. ამის ცოდნა უმაღლესე გვაძლევს ახვეი 982-986 წლებში შესრულებულად ვადიარობთ სომხური ჯგუფის უკვე დარღვიეფი, რომელთა სტილისტური იდენტურობა და ერთმანეთის სინკრონულობა უკვედგვარ ექვს გარეშეა. მათ შორის არის არქიტექტორ თეოდოსაჟის მიერ ხელმოწერილი რელიეფი და, ცხადია, დოკუმენტურად დადასტურებულად უნდა ჩათვალოს: თოდოსაჟის ხაზშენებლო წარწერა „მე, თოდოსაჟი, ამ წმიდა ეკლესიის მშენებელი“; სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმახ, რომ თოდოსაჟი არის ატენის ხიონის რესტავრატორი 982-986 წლებში და მისივე ქვართან, რომლის მშენებლობაც VI ს-ის მიწურულში დასრულდა, მას საქმე არა ექვს (დაწერილებით ამსაკითხზე იხ. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუეტეტი), „საბჭოთა ხელოვნება“, № 9, 1965; Г. Абрамишвили. Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე“, ისტორიის... სერია № 1, 1972; ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები (იბეჭდება).

მას შემდეგ, რაც ვნახეთ, რომ სომეხი ოსტატები არქიტექტორ თოდოსაჟის მეთაურობით 982-986 წლებში მუშაობდნენ ატენის ხიონის რესტავრაციაზე, ჩვენთვის ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ ინტერიერის კედლებზე სომეხ ოსტატთა ნიშნებიც ახვეი ხანებშია შესრულებული.

მასხადამე, ატენის ხიონის მხედრული წარწერა, რომელიც გვაუწყებს ტაძრის კედლების მოპირკეთების შეხატებ და დიდებით იხსენებს ბაგრატ დუხაშთა მღვდებს, თარიღდება 982-986 წლის ახლო ხანით.

დასასრული იქნება

